

F 24
1887



თეატრი

საქრველ-კვირამ სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 8

თეატრის 15.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანცოლრაში. ფოთში ბესარ. კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тип-лисѣ, въ редакцію газеты "ТЕАТРЪ." გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან: ალიხანოვის პაპირო-ზის მაღაზიაში. ქუთაისში: ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-მანერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებელი: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

ფელეტონი


უბსკრული.

(კაფ-მსხანტარის ნაკვლავი.)

მალმა ხელიდგან გააგღო გაზეთი, რომელსაც იმ წუთში კითხულობდა.

მაქმა ეს ვერ შენიშნა: წიგნს გულმოდგინედ კითხულობდა.

ზარედ ქარი ჰქროდა და სარკმლის ჩარჩოებს ანძრევდა. ოთახში კი ბუხარი სასიამოვნოდ ღუღუნებდა და მის შუქზე იატაკი წითლად ბრწყინავდა. ლამპარი მკრთალს ნათელს ჰყენდა ტაბლას, რომლის გარშემო დამწკრივებულე-



ბი იყვნენ შავით გადაკრული საეზრდლები. მეორე კუთხეში მშვენიერს კედლის საათს დაულალავად გაუდიოდა წიკ-წიკი. ოთახში ისეთი სიჩუმე იყო, რომ შეიძლებოდა საათის ენის ყველა გაქან-გამოქანების დათვლა. მარის ახალმა გრიალმა მრისხანე მღვეივით შეანძრია სახლი და გულის გამგმირად ვაი-ზუზუნა ბუხარში.

ახალგაზდა ქალმა გაიხედა ქუჩაში. იქნება ისეთივე გრი-გალი იდგა იმ ღამეს, როდესაც ორი გმირი, რომლებზედაც იმ საათს გაზეთში წაიკითხა, სიცოცხლეს გაშორდა. ეს ამბავი ჩვეულებრივი იყო, ერთი იმ შემთხვევათაგანი, რომლებიც ხშირად ხდებიან დიდს ქალაქებში და რომლებსაც სწრაფად წარმავლის დანაშაულის გრძნობით კითხულობს კაცი. „ორმა შეუბრალებელის გაჭირებით შეწუხებულმა არსებამ თავი მოიკლა.“ ჩამდენისამე დღის შემდეგ გაზეთებში ტყვრება ახალი შენიშვნა ან გვამების გაჭრის შედეგის, ან მათ დამარხვის შესახებ, და საქმე დაიწყებას ეძლევა. მაგრამ ამ მოკლე და ჩვეულებრივმა ცნობამ ისეთი ძლიერი ჩაბეჭდილება მოახდინა ქალზე, რომელიც შეუგნებლად კმუქნიდა ხელში გაზეთს და უძრავად იყურებოდა სივრცეში, რომ სულ მაზე ფიქრობდა.

იმათ ნახშირის სუნით მოიკლეს თავი. ისინი არ იყვნენ ახალგაზდები და ამიტომ ძნელი იყო მათთვის გაჭირებასთან ბრძოლა; მაგრამ არც გაჭირებას, არც მის თანამდევარს ვაგლახს ვერ შეეძლოთ მათ გაშორება. ცოლი არ იყო ჯერ მოხუცებული, მას ჰყავდა ნათესავები და მეგობრები, რომელთაც შეეძლოთ მის შეკედლება. მმარზე რაღაც ეჭვი აიღეს მის საქმეების გამო, მაგრამ ამის მიუხედავად ცოლმა თავი არ დაანება მას. ის წაჰყვა მას საფლავში თავის ნებით, დაუნანებლად, და განუშორებლები ერთად გაემგზავრნენ უცნობს ქვეყანაში, ზამთრის ქარიშხალი არ იქნებოდა მათთვის საშიშარი: ისინი ერთმან-ერთს ეკუთნოდნენ. ცხოვრების გაჭირება მათ უკან დარჩათ, ერთგულობის გრძნობა კი თან წაიღეს საფლავში.

ამ ამბის წამკითხველი ქალი მთართოლვარც ხელით

ქმუქნის გახეთს. ზული მწუხარებით ევსება, ცრემლები ყელში მოსდინან. მათხი, რომელშიაც იმ უბედურებმა თავი მოიკლეს, უთუოდ დაცარიელებული იყო, მოკლებული ყოველს მას, რაც ოდესმე მაში ფასიანი იყო; ნახშირი მკრთალის მოწითალო ალით ღუოდა და აერცვლებდა მომაკვდინებელს სუნს. მაგრამ ცოლი უშიშრად ჩახუტული იყო ქმართან. მათ ერთმანერთი უყვარდათ, ერთმანერთს ეკუთნოდნენ ეხლაც და მუდამაც. მკ, ეს რა კარგი უნდა იყვეს!

ძალია მძიმედ ამოიოხრა. „რა ბედნიერია ის, ვისაც შეუძლიან თავის საყვარელი არსება ესე ჩაიხუტოს!“ ის ქურდულად უცქერის მის პირდაპირ მჯდომარე კაცს, მაგრამ არ ეკერის გულში, თუმცა მისი ცოლია. რამდენიმე წელიწადია ერთად ცხოვრობენ. ძალი კარგად იცნობს ქმრის დინჯს შავის წვერით შემკულს სახეს, მისი ყოველი მიხრა-მოხრა ზეპირად იცის. წინდაწინვე შეუძლიან თქვას რანაირად გადაფურცლავს ეხლა წიგნს. ის ისე ახლო ზის ქმართან, რომ ერთის ტანისამოსი მეორისას ეხება, მაგრამ მაინც-და-მაინც ქმარი მას არ ეხვევა.

ბი ქალი გაშტერებით, თითქმის შეუფენებლად უცქერს მას; ქმარი გრძნობს მის ცქერას და არიდებს თავის ცივს, უყინო სახეს. ისიც აგრეთვე ცივად ცქერას იწყებს წინააღმდეგს მხარეს. ისინი ისე ახლო არიან და იმავე დროს ისე გაუზომელად დაშორებულები ერთმანერთისგან. ახალგაზდა ქალი შიშით და ჩუმის ცახცახით ზომავს იმ უბსკრულის სიღრმეს, რომელიც მათ აშორებს. ისინი ესე მჭიდროდ არიან შეკავშირებულები, მაგრამ მათ შორის არ გაგონილა ერთი გულწრფელი, მეგობრული სიტყვა: ცივად და უგულოდ ელაპარაკებიან ერთმანერთს. მათ შორის უხილავი რამ არის, რომელსაც ვერაფერს ხედავს, რომელსაც თითონ არა დროს ახსენებენ, თუმცა კარგად კი გრძნობენ,—უბსკრული, ბნელი უბსკრული! ხანდახან მათთან დაიარებიან ნაცნობები; ისინი მაშინ ბაასობენ, იცინიან, უკრავენ როიალს. უცხონი მათ ბედნიერს მეუღლეებად თვლიან, იმიტომ რომ სტუმრების წინ ლაპარაკობენ, ხარხარობენ, მეგობრულად ექცევიან ერთ-

მანერთს. თვით მათ კი კარგად იციან, რომ ეს მარტო კომედიაა. როცა მარტონი რჩებოდა, უბსკრული მაშინვე იხსნება და ყველაფერი უწინდებულს სახეს იღებს.

რამდენისმე კვირის წინად სასიხარულო ანზავი მოუხდათ. მმარმა კარგი ალაგი მიიღო, ჯამაგირი მოემატა. დედამ ახარა ეს სასიამოვნო ანზავი: „გიხაროდეთ, შეიღებოვო!“ ნაცნობების მილოცვას მოჰყენენ სასიამოვნო საზრუნავები: უნდა უფრო მოზდილი სადგომი დაეჭირავენინათ, ახალი ავეჯულობა ეყიდნათ. ეს ორისთვისვე საინტერესო საქმე მათ წამდა-უწუმ აგონებდა, რომ ისინი მჭიდროდ იყენენ დაკავშირებულები. რამდენი რამ უნდა გადაეწყვიტათ ერთად! უნებურად ეკიდებოდენ ერთმანერთს მეგობრულად და თანაგრძნობით. ბეგონებოდა, რაღაც მომხიბლავს შეერთებინა ისინი უხილავის ხილით. უბსკრული უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, შეუნიშნავი ხდებოდა. მართი გაბედული ნაბიჯი კიდევ და იმასაც გადასცდებოდენ.

ისინი ახალს სადგომში გადავიდნენ და მალე მიეჩვივნენ უფრო განცხრომილს ცხოვრებას. მხლა ისინი გრძნობდნენ, რომ ერთს მათგანს ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ დაახლოვებულიყვნენ. ორმავე იცოდა, მაგრამ ვერც ერთმა გადადგა ეს ნაბიჯი. რა იყო ესა: კერპობა, უღონობა. თუ ჩაგონება? ახალს გემოიანად მოწყობილს ოთახებში ისინი ერთი მეორის გვერდით ისხდნენ და სახე უფრო და უფრო უნადგლიანდებოდათ. უბსკრული მათ აშინებდა, რომელიც აქაც გადმოჰყვა. მათ დაჰკარგეს ყოველი გამბედაობა, ყოველი იმედი; დამუნჯდნენ, უბსკრული უწინდელებზე გაგანიერდა. ღრო მიდიოდა; ფიცხი, მაღალი სიტყვა ხან და ხან შეაჩყვდა ხოლმე მათ მყინვარე მყუდროებას. მმარი გულმოსული კაცი იყო, ცოლი უთმობდა. ეს იმის დამტკიცება იყო, რომ სულყველაფერი უწინდელებზე უნდა წასულიყო.

მართლა ესე უნდა ყოფილიყო, ან ყოველთვის ესე იყო? ქალი იგონებდა. არა, ყოველთვის ესე არ ყოფილა.

როდისღაც მის თავი გულზე ნაზად ესვენა ხოლმე ქმარს, რომლის ხმაც მაშინ ისეთი ალერსიანი იყო. ისინი ერთმა-

ნერთს ტრფობით შესცქეროდენ, იღიმებოდენ, და იმათ გულ-
ლები შეერთებულები იყვნენ. რა შორეული ანზავია ეს! თით-
ქვას სიზმარში ენახოს. არა სჯეროდა, რომ ის ოდესმე ასე
ბედნიერი ყოფილიყო. როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთი
ცვლილება მომხდარიყო?

მაჟი ძრიელ გულმოსული იყო, ხშირად წამოისვრიდა
ხოლმე მკვანე, მაგარს სიტყვებს. ძალი ვერა ნიშნავდა ამას
არც დანიშნულობის დროს, არც დაქორწინების შემდეგ პირ-
ველს ხანში. მტყობა, ვაჟი თავის თავს ძრიელ უგდებდა ყურ-
სა. მხლა კი არაფერს ერიდებოდა და ხანდახან სულ მცირე
სიტყვის შებრუნებას, სულ უბრალო უკმაყოფილებას შეეძლო
მისგან გამოეწვია ცუდი უკადრისი სიტყვები.

ძალს ადვილად სწყინდა, კარგა ხნობით არ შეეძლო დაე-
ვიწყნა, ეპატივებინა. ის გახდა თავდაპირველი, ქმრის ნდობა
აღარ ჰქონდა, ერთგულად აღარ ექცეოდა. ძმარმა ეს შენიშ-
ნა და დაუწყო ყვედრება; თხოულობდა, რომ იმას მალე დაე-
ვიწყნა ჯავრობაში წამოთქმული უკადრისი სიტყვები. სოტ-
ცოტად იმათ შორის აიშართა რაღაც უხილავი მსაზღვრავი
კედელი.

ბოლოს ბედის გადამწყვეტი წუთი დადგა.

ძმარი შინ დაბრუნდა მოღუშული, გაცეცხლებული რა-
ღაც უსიამოვნობით სამსახურის საქმეების გამო. სოლმა იცო-
და, რომ ამისთანა შემთხვევაში ყოველს უბრალო რასმე
შეეძლო მის მოთმინებითგან გამოყვანა, და ცდილობდა არ
გაეჯავრებინა. მაგრამ ბედზე რაღაც ქალღმერთი დაიკარგა, რო-
მელიც ქმ-რს დასჭირდა.

ამან მკაცრად დაუწყო ყვედრება. ამღვრეულმა ქალმა
გაჯავრებულის ზმით უპასუხა. მაშინ იმან ხელი მოაგლო
მხრებში და მრისხანედ გააგლო იქით. ძალს არცკი შეუწყინ-
ნია. ხოლო მაშინვე გავიდა სახლითგან და გაემართა მშობ-
ლებთან, რომლებსაც ის ერთად ერთი, საყვარელი შეილი
იყო. ქმარი თან გამოეკიდა, შენდობა სთხოვა და შინ და-
ბრუნდა.

ძალს სხვა ნაირად არ შეეძლო მოქცეულიყო, რადგან

არ უნდოდა კერპობა გამოეჩინა. ხოლო პატივებით კი არ აპატია და არც სიყვარულით შეეძლო მოჰკიდებოდა. ქმარს კი უნდა ეგრძნო, რომ მსხვერპლი, რომელიც მან გასწია თავის დამდაბლებით, უსარგებლოდ დარჩა.

იმ ღამეს ისინი შინაურულად ისხდნენ ერთი მეორის წინ და ხელი ხელთაც ეჭირათ, მაგრამ ეს მეზობლობა უწინდელებზე არ აღელვებდა ქალს. ბარეგნობით ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ ორსავე ეყურებოდა, რომ მათ სიყვარული ნამდვილი აღარ იყო. თუმცა ამ დროს განმავლობაში ერთი მკვანე სიტყვაც არ წამოთქმულა, მაგრამ მათი გრძობა ნელ—ნელა გაქრა ლამაზივით, რომელშიაც ზეთი ილევა.

უბსკრული შეუნიშნავად უფრო განიერი, უფრო ღრმა ხდებოდა. ზამარტოებულები, თითქო დადამბლაგებულები, გაშორებულები იყვნენ ბნელის ჯურღმულით. დიდხანია, დიდხანია ისინი ასე ცხოვრობენ და აი ცოლი ზომავს უბსკრულს და შიშითა კრთება. როგორ მიაწიეს აქნობამდის? ერთხელ ხომ ერთმანერთი უყვარდათ! მხლა? ბანა კიდევ აქვს ქმარს ისეთი გავლენა იმის სულზე, რომ ადამბლაგებს მას? თითონ ქმარი? აი, ის თვალებს აპყრობს, მაგრამ იმას კი არა, არამედ ლამაზს, რომელსაც სინათლეს უმატებს, და მერე ისევ შლის ფურცელს.

რა ხდება იმის სულში? მკაყოფილია? ძალია არა იცისრა, მის სული გაუგებარია. ძალი მწუნხარებით ფიქრობს, რომ ქმარი მისთვის უცხო შეიქნა. ხანდახან ვაჟი სახე-მოღუშული შეხედავს ხოლმე მას; მაგრამ რას ნიშნავს ეს, სიძულილს, ჯავრს, ან იქნება, ჩივილს, ტანჯვას? ოჰ, კიდევ რომ შეეძლოთ მათ ერთმანერთის ხვევნა, ბედნიერის ღიმილით ცქერა. ამ აზრთან ქალს რაღაც ტკბილი ჟრუანტელი უვლის სხეულში. მართხელ და ორჯერ არ მოსვლოდა მას ეს აზრი, ერთხელ და ორჯერ არ გავებო ამ ოცნებას მის სული. მაგრამ შეხედავს თუ არა ქმარს სახეზე, უბსკრული ისევ იხსნება. ცოლი უძრავად არი ერთს ალაგს, თითქო მიკრულიაო, და ხელებს არ აწვდენს ქმარსკენ.

თავის გულში ცოლი ქმარს ეუბნება: „ეს გამართობა

ასე მოსაწყენია, სიყვარული კი ისე კარგია! ნუთუ ჩვენ მუდამ ასე უნდა ვიყენეთ? ჩვენ ხომ მარტონი ვართ ქვეყანაზე. ღმერთო დაგვევიწყე, რომ... დაგვევიწყე, რომ ჩვენ შორის ასე დიდი უბსკრულია. ჩვენ ერთმანერთი აკი გვიყვარდა და აკი ბედნიერებაც ვიყავით. რაც მოხდა, საძაგელი სიზმარი იყო.“ ტუჩები კი მოკუმულები ჰქონდა. საოცარია, რატომ მაღალის ხმით არ ამბობდა ამას. თითონაც არ იცის რატომ. ქალი ღრმად ოხრავს, ვაჟი კი თავსაც არ იღებს: დიდხანია ისინი ერთმანერთის ოხვრა-ლიმილს ყურადღებას აღარ აქცევენ.

ბუხარში ცეცხლი გაჰქრა. ძარი ჩავარდა და ქუჩაში მყუდროება დამყარდა, საათს კი ისევ თავის შემბახვრებლად წიკ-წიკი გაუდიოდა. ძმარი დგება სანთლის ასანთებად, მის სახე სერიოზი და დინჯია. ძილის დროა.

ცოლს რაღაც ელდა ეცა, გული უჩქროლდება, თითქო ქმარი მას სამუდამოდ სტოვებდეს. ძალის აზრები ისე მჭიდროდ იყენენ შეკავშირებულები ქმართან, ვიდრე იქ იჯდა; ის კი ესე გულგრილად სწყეიტავს მათ შემაერთებელს უხილავს ჯაქვს და მიდის. ბული ქალს ისე მაგრად უცემს, რომ ლამის გაუსკდეს. რა იქნება რომ ოთახში შესვლის დროს ღუმელითგან გამოვიდეს რამე მომაკვდინებელი სუნი და მის ქმარი მოკვდეს? ან ღამე სიზმარში რომელიმე ქალი ნახოს და ხვალ მასთან წავიდეს? ამისთანა რომ არ მოხდეს რა; ხვალაც ისე იყვეს, როგორც დღეს, სულ მუდამ ასე? ძალი ზიზლით ფიქრობს ამ ნაირს ცნობრებაზე. ან როგორ გაუძლო ამდენი ხანი ამ ცნობრებას? ისევ ცოლქმარის სიკვდილის სურათი წამოუდგა. ის თავის დღეში არ დაივიწყებს ამ მკვდრებს, როგორც მის გულში გაუმადლარის სიყვარულის ამწლენლს მოჩენებას.

ძმარი წიგნს იღებს და კარისკენ მიდის. უკან არ იხედება ცოლისკენ და დღეს, სწორედ დღეს, არ ეუბნება ჩვეულებრივს და ცივს „ღამე მშვიდობისა.“ მიდის, მიდის.

ცოლი რაღაც უძლეველის მისწრაფებით იძულებული,

შეუგნებლად გაექანება კარისკენ: „ეხლა, ან არა დროს!“ რა უნდა—თითონაც არ იცის.

მმარს ესმის ფეხის ხმა, ტანისამოსის შრიალი და უკან იხედება. შაოცებით უცქერის. ძალი მისგან სამის ნაბიჯის „სი-შორეზე ჩერდება. უბსკრული კიდეც იხსნება. წინ ველარ შეუძლიან წაწევა! მკვდარსავეთ უცივდება ასოები, და ველარა გრძნობს, რომ ცრემლები გაფითრებულს ლოყებზე და-პალუპით ჩამოსდის.

მმარი წინა სდგავს ნაბიჯს, ერთს ნაბიჯს მარტო, და სანთელი ხელიდგან უვარდება. ღრმა ოხერა ისმის მის გულ-ლითგან, თითქო რამე დიდი ტვირთი მოიშორაო და... რომელი მოეხვია პირველად, გაუგებელი დარჩა. ძალი ვერა-ფერს ხედავდა: გულამოსკენით ტიროდა. მარტო გრძნობდა რომ ორს მძლავრს ხელს მიეკროთ გულზე, რომე. ლიც ისე მაგრად სცემდა როგორც ის ოცნებობდა.

უბსკრული გამქრალიყო.

ჭიხ.

ხალხური ლექსები.

კახეთში გაგონილი

ოცდა სუთსა იმერელსა
 წინ ტურსა შემოეუბრათ,
 სანამ ტურას გაიცნობდენ
 სული სორცხად გაეუბრათ.

სომეხმა თქვა: დავსწრებოდი,
 გუთნის კვალში ჩავსწვებოდი,
 შედ მიწას გადავიურდი,
 ერბოსავით დავუნებოდი.

ქართლეღმა თქვა: დაუსწრებოდი,
ჩანძისივით დაუდგებოდი,
ან მოჴკლავდი, ან მოძკლავდა,
ან სოროში ჩაჴეუებოდი.

* *

ზატარძეულსა ცისესა
თითით უთსრინან პირსაო,
ლამას ქალს გამოიჴვანენ
ცრემლით დაბანენ პირსაო.

* *

ახალ-ახალი მეთოჴე
კაცს არას გამოადგება,
იეიდის ტეჴია წამალსა
ტეჴილად ვალში ჩაჴედება

* *

ქალო, ქალო კისკისაო,
ჩამოჴედები წელის პირსაო
ბიჴები ჩამოგეღინან
ჩაკამტვრევენ ცხვირ-პირსაო,

დაგალა.

ხალხური ზამოსანები.

გაცი ვნახე ორი თავი ქონდა, დიდად გამოჴვირდა,
ერთი თავი თეთრი ქონდა, ერთი შავად გამოსჴვირდა;
თეთრმა თავმან არა მითხრა, არცა სიტყვა დამისშინა,
შავმან თავმან არაბუღად საუბარი დამისშინა.

* * *

ორად, სამად გამოჰქრელი აიძარბოს, ფეხსუდ დადგეს, გარდიქცეს და გადმოიქცეს, შერმე ისეკ ფეხსუდ დადგეს, სამარის დღე და ზაფხულის დღე მოიხრდილოს, მის ქვეშ დაჟდეს; ვინც ესა კარგად ვერა სცნას წამოდგეს და ფეხსუდ დადგეს.

როგორ მიდიოდა ქართული თეატრის საქმე? (*)

როცა საკვირაო გაზეთი „თეატრის“ სანიმუშო ნომერი ბაკის ლოცვა კურთხევით და პოეტთა პატრიარქის სურათით ჩაგვივარდა ხელში, მის „პროგრამაში,“ ან შინაარსის მაჩვენებელში, პირველი ადგილი შემდეგს განყოფილებას ეჭირა: „გაზეთი „თეატრი“ თვალ-ყურს ადევნებს თეატრის მსვლელობას, მის აე-კარგიანობას; დაბეჭდავს წარმოდგენების რეცენზიებს და სხვა...“

სხვა პროგრამის ნაწილზედ არას ვიტყვით, რადგან კარგად თუ ავად, ცოტად თუ ბევრად, მუდმივ თუ დრო გამოშვებით, დაკმაყოფილებული ვიყავით, ჩვენ გვინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ გაზეთი „თეატრის“ თეატრისადმი დაპირებას და ამ პირობის შესრულებას.

„გაზეთი თეატრი თვალ-ყურს ადევნებს თეატრის მსვლელობასო.“ მე კი მგონია, ბ. რედაქტორო, თქვენმა გაზეთმა ჯერაც არ იცის:—მთელი სენზონის განმავლობაში ქართული თეატრის მხედართ ბულანჯეს მხარე ეჭირათ, თუ ბისმარკისა? ბოლგარიის მთავრათ პრინცი ოლდენბურგისა უნდოდათ, თუ თავადი სამეგრელოსი? ამათ კი გაცხარებული შემთქმულობა ჰქონდათ თურმე, აჯანყების დროც დანიშნული იყო, მაგრამ განა ამდენი კეთილის გრძნობით აღტურვილ პირთა

გვეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ პასუხს ვერ ვაძლევა უადგილობის გამო.

რედ.

გუნდში ისეთი არამზადა ვინმე არ გამოერევოდა, რომელსაც შეთქმულნი გაეცა? თქვენ კი თქვენის გაზეთით სულ ამეებს გულ-გრილად უყურებთ და ხმასაც არ იღებთ, როცა ამ საგანზედ ზრუნვა თქვენს გაზეთს უფრო ეკუთვნის, ვიდრე სხვას.

„სხვას!“ თითქო ბევრი სხვა გაზეთები გექონდეს! 1-ივერია, 2-თმატრი, 2¹/₂-სისკარი (ცისკარს ნახევარიცხვს იმისთვის ვაძლევ, რომ ჯერ ერთობ მცირე წლოვანია).

„ივერიას“ თეატრის ზედამხედველისთვის პირობა მიუტია: ცუდად წაიყვან საქმეს თუ კარგად-შენზედ არას დაესწერონ. ან შინაურს საქმეზედ სად სცალიან, როდესაც ბისმარკის აჩრდილი ძვალ-რბილში გასჯდომია, თვალ-წინ უდვას; მისი საომრად მზადება შაჰ-აბაზის საქართველოზედ გამოლაშქრებას აგონებს და ბოლგარის გაუთავებელი პოლიტიკა მოსვენებას არ აძლევს. მაშ ნუ დავემდურებით ამ პატივცემულ გაზეთს, თუ შინაურ საქმეს თვალ-ყურს ვერ აღვინებს, რადგან ბულანჯ-ბისმარკის და აბესინია-იტალიის საქმეებშია გართული. „ცისკარზედ“ სულ არა გვეთქმის რა; ამ გაზეთს სულ სხვა საგანი აქვს აღებული და აკი სხვაზედა ზრუნავს: კლდე-ღრეს ძალიან აქვს და ბარზე, ვაკეზედ თუმცა ჯერ არა უთქვამს რა, მაგრამ იტყვის, თუ შემწეობას მისცემენ... „თეატრს“ კი არ ეპატიება ამ გვარი ხანგრძლივი სიჩუმე თავის მოძმე თეატრის საქმეზედ.

მაშ, ბ. რედაქტორო, თუ თქვენი ამდენი ხნის სიჩუმის ძათის გაწყვეტა თქვენ გეზარებათ, ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის შემწეობით ორიოდ სიტყვა ვსთქვა ამ საგანზედ. *)

არა ერთხელ გაგვიგონია ქართული დრამატიული და სისაგან სამღურავი ქართველ საზოგადოების გულ-გრილობაზედ. არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის ზოგიერთ ამ წევრთაგანს, როცა თეატრის დარბაზში მაყურებელთა რიცხვს ცა-

*) ამ წერილის დაბეჭვდა „ივერიის“ რედაქციას ვიხსოვ, მაგრამ პასუხად მივიღე: „სეზონი კიდევ გათავდა, ესლა რაღა საქიროა“... დიდი ხანია თეატრზე არაფერი დაგვიწერია... და ამისთვის ესლა მაგ წერილს უკვლავ დაბეჭვდავთ“.

რიელი სკამებთა რიცხვი აღმატებია: „აი, ი—ჯან, რას გვემდურით, რო ცუდად ვარდგენთ, კარგათ რომ წარმოვადგინოთ მსმენელნი ვინ გვეყოლებოა?“

— მართალი ხარ, მართალი, ჩემო ა—რე! მიმიგია მეც, მაგრამ... აქ კი ხშირად სიტყვა ვადამიყლაპავს.

თეატრი არის საერო სკოლა, რომელსაცა სჭირია თავის საგნების მტკიცედ მცოდნე მასწავლებლები და გულწრფელი სიმართლის პატრონი, თავის დანიშნულების შემგნები და შორს გამჭვრეტი ზედამხედველი. ამ უკანასკნელზედ არის დამოკიდებული მსახიობთა ერთობა და ერთობაზედ თეატრის მკვიდრი ნიადაგზედ დაყენება...

თუ კი მსმენელნი იმ ნაყოფს მოკლებულნი იქნებიან, რასაც მაგ გვარ სკოლიდამ მოელიან, მაშ რამ უნდა მიიზიდოს ეს უმართლოდ ბრალდებული საზოგადოება? იქნება, ბატონებო, გგონიათ, რომ აქტიოროთა და მათ ზედამხედველთა ზრდილობას გარდაქარბებულმა სიტყვებმა დააკმაყოფილოს საზოგადოება?! არა, ჩემო ბატონო, ეს არ კმარა! ამ გვარმა მამლა—ყინწობამ ჩვენ ცოლ-შვილთანაც მოგვაბეზრა თავი და რალა საჭიროა, რომ ისევ ეს იქაც გავიგონოთ, საიდამაც სულის საზრდოს, ჭუჭყის მაჩვენებელს სარკეს და მის მომბანს ანკარა წყალს მოველით? აქ ჩვენ ვერ ვხედავთ საერო სკოლის ასპარეზზედ იმ მასწავლებელთ, რომელნიც თავის მოწაფეთა სასარგებლოდ გულმოდგინეთ, თანხმობით და „უჩემშენოთ“ იღწვოდნენ. აქ ჩვენ ვერ ვხედავთ იმ პატრიარქ-ზედამხედველებს, რომელნიც, თავის მოქმედებით, მაგალითად გამოადგნენ. ამ წარსულ სეზონს სულ სხვა აღტაცებით, სულ სხვა იმედით მოველოდდით, მაგრამ იმედი კვლავ როდის გაგვამართლებია რომ ეხლა გაგემართლებოდა! ამ მოსალოდნელი ნაყოფის ნაცვლად რალაც „ჩემ-შენობამ“ გაიდგა ფესვი. მინ არ დამეთანხმება, რომ უმცროსმა უფროსის სურვილზე უნდა იაროს. ეხლანდელ რევისორსაც თურმე ძალიან ჰყვარებია ამ გვარი მორჩილობა: ოღონდ იმის სურვილზე იარე და რაც გინდა საქმის ინტერესის წინააღმდეგ იმოქმედე არა უშავს რა, ყველაფერში მართალი იქმნები. ეს ყველა კარგი, მაგრამ

რატომ არ ვიცით, რომ ამ გვარი ქცევა უსათუოდ ასე გათავდება, რომ რომელიმე საუკეთესო მოთამაშე სცენას თავს დაანებებს. ჩვენ, საზოგადოება, რის შუაში ვართ, რომ, სანამ ფარდა აიხდებოდეს, გამოდის ფრთა მოკვეცილს ტანისამოსში „ცხრა-რჯულასავეით“ წვერ გამოპარსული ჭაბუკი და აცხადებს: ბ. ა. ავთიმყოფობის გამო და ქ. ზ. მაგიერ ითამაშებენ: პირველის როლს—ბ. N და მეორისას-ქ. N —ო.

ამისთანა გამოცხადება, ერთის ნაცვლად მეორეს თამაში და ამის გამო პიესების დამახინჯება ერთობ ხშირი მოვლენაა, რომელიც სულ სხვა ეჭვს ჰგვრის მაყურებელთ და გულს უცრუებს თეატრზედ. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ დაგვიჩივდება. საკმაოა ავიღოთ 4 და 15 ფებერვლის სალამოს წარმოდგენები.

პირველი—ჩვენი პატივ-ცემული არტისტი-ქალი ზაბ.-საგარლის ბენეფისი და მეორე—წარსული სეზონის გამოსათხივარი უკანასკნელი წარმოდგენა. თავის ნიჭით გამოჩენილი არტისტი ქალი მ.-ც-ლის ბენეფისმა როგორ ჩაიარა, თუ ბრძანდებოდა, ბ. რედაქტორო? ნეტა სად გაქრა ის პატიოსანი პირი, რომლის სახელს სამი-ოთხი დღით წინეთ გაზეთების პირველ გვერდზედ მოთამაშეთა რიცხვში პირველი ადგილი ეჭირა? სად გაქრა სცენები, რომელიც „ძმური სიტყვიდგან“ ძმისგან ძმათ უნდა ჰსმენოდათ? რა თქმა უნდა, პირველს—„ჩემ-შენობამ“ დასძლია და მეორე (ძმური სიტყვა) შურმა გადაყლაპა.

ძიღვე მობენეფისემ გამოაფხიზლა ეს უფერული სალამო. ძიღვე მან გაუფანტა საზოგადოებას ის უკმაყოფილებების გამომეტყველება, რომელიც გვეუბნებოდა: „არც ჩვენ ვართ დამნაშავე, თუ თეატრს გულ-გრილად ვეპყრობითო; სიტყვით ოქროს გვიქადიან და საქმით კი თუჯს გვაძლევენო.“

თავი დავანებოთ ამ სალამოს, მეორე უფრო ყურადღების ღირსია და საგულისხმო.

შვიდი საათია. თეატრისკენ მივისწრაფი. სეზონის უკანასკნელი წარმოდგენაა და მეშინიან ვაი თუ ბილეთი ვერ

ეიზონო მეთქი, მაგრამ სულ ამოდ:—ხალხი ძლიერ ცო-
 ტაა; ბილეთს ერთის ფასად ორს იშონენ. ზარი დააწკარუნეს;
 მუსიკამ „შემლილის“ ვალსი დაუკრა. მეორეთ ჩამოჰკრეს
 ზარი, მაგრამ ხალხს მაინც არ ემატება; დარბაზის კარებთან
 რაღაც უცნაური შესამოსით ბილეთის მყლაპაენი დგა-
 ნან და სტუმართ ეპატივებიან. აგერ ყველამ თავის
 ალაგი დაიჭირა... შენს მტერს იმისთანა, რომ წარმო-
 მადგენლებს პირველ თვალის გადავლენაზედ გულს შემოე-
 ყრებოდათ! სულ „შვიდ-ნახევარი კაცი იყო და ხუთ-ნახევარი
 ქალი.“

აჰა, ჯერ ფარდა არ ახდოდა! შრთა შეკვეცილ ტანისა-
 მოსში, ჩვენი ნაცნობი, „ცხრა რჯულასავით“ წვერ გამოპარ-
 სული ჭაბუკი გამოძერა სოროდამ და გამოაცხადა: „ბ. ბბ —
 ძის ავადმყოფობის გამო, მის როლს ითამაშებს ბ. აწყურე-
 ლი და შ. შაბ.-ც-ლის მაგიერ „ურეპტიციოდ“ შ. ანდრო-
 ნიკოვისა (ამ გვარი განცხადებზე, ნაგლეჯ ქალღმებზედ
 დაწერილი, ყველა კარებზედაც ეკიდა.) უნდა გენახათ ჩვენი გა-
 კვირვება, როდესაც ვნახეთ, რომ ქ-ნი შ-ც-სა მესამე რიგის
 სავარძელში გამოჰიმულიყო. მართლა რომ „ჯანყით და ბუ-
 რუსით“ მოცულმა აზრებმა გამიარეს თავში... მისაც უნდა
 ეთამაშა მაყურებელთ გამხდარა და ვისი სახელიც არ იყო
 მოხსენებული „ურეპტიციოდ“ თამაშობს! რა ძალა და გა-
 საჭირი დაადგა ამ „ურეპტიციობას.“ ნუ თუ შ. შ-ც-სამ,
 უარი გამოაცხადა და ბ. რეჟისორი იძულებული იყო სხვის-
 თვის „ურეპტიციოთ“ თამაში ეთხოვა?

მოუთმენლად ველოდდით პირველი მოქმედების გათავებას;
 ამასაც ბოლო მალე მოელო—გათავდა პირველი მოქმედება.
 მრთს ჩემს ნაცნობს ვკითხე: თუ ბ. ბ-მე ავით იყო, შ. შ-ც-სა
 რა მიზეზისთვის არ თამაშობს მეთქი?

— არც მე ვიცი ღმერთს გეფიცები! აი თვით შ. შ-ც-სა,
 ვკითხოთ, რატომ არ იწება თამაში? მივედით შ. შ-ც-თან მი-
 სი უთამაშობის მიზეზის გასაგებად და აი რა გვითხრა:
 მეც არ ვიცი, ღმერთმანი, რატომ არ ეთამაშობო! ამ
 საღამოს სათამაშო ტანისამოსით მოვედი იმ აზრით, რომ

მეთამაშნა, მაგრამ ბ. რეჟისორმა მითხრა: თქვენს ნაცვლად „ურეპეტეციოთ“, მოთამაშე მოვიწვიე, უარს ხომ ვერ ვეტყვიო, მითხრა და ზრდილობიანად ზურგი შემომამქცია. მიზეზი რომ ვკითხე—ეს „ჩემი საქმეაო.“ მეტი გარკვევა არ უნდა, მკითხველო, თქვენც კარგათ მხივდებით—აქაც „ჩემ შენობამ“ გაიმარჯვა. მწლა დაუბრუნდეთ წარმოდგენას. წარმოდგენილი იყო ხუთ მოქმედებიანი დრამა, რუსულიდამ გადმოკეთებული (გადმოთარგმნილი) „ცოლი — მეუღლე“. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, როლები თითქმის ყველამ კარგად იცოდან; არც „ურეპეტეციოდ“ მოთამაშეს შეუსრულებია თავისი როლი ურიგოთ, თუმცა გვიჩვენდა კი „ჩემისთანა ქალი შეირთეთო“. ეს ხომ „ურეპეტეციობით“ მოსდიოდა(!?) ძარგს სურათს წარმოადგენდა მეორე მოქმედების ბოლო, როცა ბ. ვ. თ—ლი საზოგადოებამ გამოიწვია და ქართულმა დრამატიულმა დასმა დაფნის გვირგვინი მიართვა: ბ. თ... შეილი სახჩობელაზედ მიმავალ დამნაშავესავით შეშინებული, თავჩაღუნული გამოვიდა შუა სცენაზედ და გაჩერდა; ბ. ალ. მესხი შ—ლი დაფნის გვირგვინით თავზე წაადგა და მიართვა გვირგვინი შემდეგის სიტყვებით: „ქართული დრამატიული დასი მოგროვდა დღეს და მოგართვა ეს“. საშინელი სიცილი ასტეხა მაყურებელთა შორის ამ მოსწრებულმა სიტყვამ... საღამო უფერულად გამოგვესტუმრა. წარმოდგენის შემდეგ ბ. თ. შ—ლმა... ვახშამი გაუმართა თავის დამაჯილდოებელთ.

მრთი სიტყვით, ყველა ეს გახლავთ „ჩემ—შენობის“ შედეგი. როდესაც საზოგადო საქმე საპირადოთ გადაიქცევა, მაშინ ეს საქმე უსათუოდ ცუდად გათავდება. არ იქნებოდა ცუდი რომ ბ. ბ. თეატრის წარმომადგენლებმა შეიგნონ თავისი მოვალეობა და შეინანიონ თავისი წარსული; თავისუფალი დროც ეხლა აქვსთ: დრო სინანულისა და ცოდვის მოწმენდისა. თუ არა და სჯობს გადიძრონ მონომაქის სარქმელი, რომელიც არა ჩვეულს თავს დაუმიძიმებს და წელში მოჰხრის.

ბ. რედაქტორო! მანა ყველა ამას თქვენ არა ჰხედავდით, განა ყველა ეს თქვენ არ იცოდით, რომ გაიტურნეთ და კრინტი არ დასძარით. შეიძლებოდა, თქვენ რომ ხშირად გელაპარაკნათ თეატრის აე-კარგიანობაზე—არ მომხდარიყო ის, რაზედაც ჩვენ ამ წერილში ვლაპარაკობთ.

ი. სენაკელი.

ყ რ ი ე ლ ა ვ ე ს ტ ა

(გაგრძელება).

მოკმედევა მოსთხე.

სინაღოლაში.

დაბალი ოთახია; მარჯვნივ და მარცხნივ კარები გაღებულია. კედლებზედ დახატულია ზინი მცნებანი ებრაულის ასოებით. სცენის სიღრმეში ფარდაა ჩამოშვებული, რომელიც სინაღლის შიგნითა ნაწილს ოთახისაგან ჰყოფს. ფარდა ბოლოს აიხდება.

გამოსვლა პირველი

(შემოდინს სანტოს და დე-სილვა; შემდეგ მოსამსახურე.)

სილვა.

მამ მასთან ამ სნის განმავლობაში
 არვის უშვებდით?

სანტოს.

კანონისამებრ

იგი ყოველთვის სულ მარტო იყო...
 აქ რომ მოვიდა და ტაძრის კარებს
 დაჭკრა, მან იგრძნო სული უფლისა.

სილვა.

სული უფლისა ქვეს როდი ისვრის.

სილვა.

მასაც, ვით სსვასაც,

უარი ეყო?... მთლად ამსტერდამი
 დელავს იმ ანათ, რომ აწ მეორედ
 ვანდერსტრატენი გაკოტრებულა.
 ვით წევრმა ერთის მდიდარის ფირმის
 ბენ-იონაიმ მოახერხა ეს.
 ჩემი სიმამრი მანასე ბაღში
 ცხვრობდა მარად ტკბილის ოცნებით;
 სტატუებისა და შადრევნებ შორის,
 თვით ჩვეულებას არ ღალატობდა
 და შემოსავლს მხოლოდ ხარჯავდა...
 ამ დროს სასიძომ დამუნწებულმა
 იგი გააბა ისეთს ბაღში,
 როგორსაც ესლა გენეტიკაში
 და ლონდონშია მოქსოვენი სოფლე,
 როცა უნდათ, რომ ყველა გაჭრები,
 ვითა ოთხფეხნი, ერთს მიესიონ...
 ვანდერსტრატენი აწ იღუპება, —
 და იონაის, ვის გულშიც მტრობამ
 ვერა დაშრიტა ტროფობისა ალი,
 სურს ისარგებლოს მის გაჭირვებით
 და უწვდის სელსა საქმეებისა
 მორიგებითა გასათავებლად.
 მაგრამ საკითხი აი რა არი:
 ნება აქვს ივდიოს დაუფემდეს იმ დროს,
 როდესაც იმან თავისი თავი
 მამისათვისა უნდა გასწიროს
 ნება აქვს იმას შეუდრეკეს ესლა?
 საშინელს ტანჯვას-მეგობრის ღალატს,
 თუნდა სიკვდილსაც, რომ ისხნას იგი,
 ვისაც სიტოცსლე არ შეუძლიან,
 რაკი მოაკლდა ბედნიერებას,

რომელშიაც წინად ცხოვრობდა?
 სწორედ ის, რასაც ურიელისგან
 თვით მოელოდა—რომ უარ ეყო
 სატროფოს, დედის და ძმების გულისთვის,—
 აწ თვით უნდა ჰქმნას მოხუც მამისთვის.
 თქვენ კი ურიელს ყოველივე ეს
 დაუძლევიტ.

სანტოს

სინამ სინანულს

არ გაათავებს, იმისი ნახვა
 ძრვიელ სასტიკად აკრძალულია
 და კერძ ვისიმე წერილს გადავცემთ. (შემოდის მოსამსახურე
 წერილით)

მოსამსახურე

წერილი არის აკოტასთანა.

სანტოს

არ იცოდი, რომ მისი მიღება
 არ შეიძლება?...

მოსამსახურე

იმის ერთმა ძმამ

მოიტანა და ცრემლით თხოულობს
 დროით გადავცემთ.

სანტოს

წაილე უკან

შენ ეგ წერილი. ნება არა გვაქვს,
 რომ კელიაში, საც დამნაშავე
 სუფს ინანიებს, გადავცეთ რამე
 ქვეყნის ამბავი (მოსამსახურე გადის წერილით).

სილვა.

ეგ სად სწერია?

თქვენ უკრძალავთ, რომ იმის ყურანდის

დედის ოხრამა ან მიახწიონ?
 თუენ ის გინდათ, რომ მან ვერ გაიგოს
 იუდითის ტანჯვა და მწუხარება
 და ცხოვრებიდამ მანასეს დაცრა?
 თქვენ სომ იცით, რომ მას სურს უარ ჰქონ
 თვისნი იმედნი, თვისნი რწმენანი,
 თავის დედის და სატრფოს გულისთვის;
 მაშ მითხარით რა საკადრისია
 ის დაუძალოთ მას ტანჯვის დროსა,
 რასაც უთვლიან ნუბეშ-საცემლად
 სატრფო და დედა?

სანტონს

შესკდე, სილვა,

აკიბა მოდის აქ; იგი თითქმის
 ას წლამდის არის მიტანებული,
 მაგრამა მტკიცე სარწმუნოებით
 ისევე ჭაბუგს ჭეკავს... იგი აკოსტას
 თვით მისცემს ფორმას სინანულისას..
 ასლა შენ წადი სინალოლში.
 რაოდენიმე საათის შემდეგ
 მოედება შენს მოლოდინს ბოლო.

სილვა,

მივდივარ,— მაგრამ ამას კი გიწნეკო,
 კარგად მოეჭტოთ მომნანებელსა,
 რომელსაც კიდეც უნდა ჰქმდლობდეთ:
 რადგან ასეთის კაცის მოჭტევა
 განამტკიცებს ძალს რაბინობისას!
 დმერთმა ჰქმნას ეს დღე კარგად გათავდეს;
 რომ თვით თქვენ მისი მომნაიება
 სანანებულად ან გაგხდომოდეთ! (გადის.)

გამოსვლა ემორე.

რაბინი ბენ-აკიბა ორს ახალგაზდა რაბინს სელით შემოჰყავთ; რაბინს ვან-დერ-ემბდენს სელში პერგამენჯის გრაგნილი უჭირავს; სანტოსს; შემდეგ ურიელ.

აკიბა (რომელიც მიიყვანეს სავაჯიო სავარძელით სტოლის ახლო).

შზად არის აქტი უარ-ყოფისა?

ემბდენ.

ღირსო რაბინო, აქ არის, იგი ეტრატზედ სწერია.

აკიბა

მოვიდეს აქ

უკანასკნელად შემნახებელი.
თქვენ სუეველანი გარს მომისსედით
და დამერწმუნეთ—ყოველივე ეს
ბეგრჯელ ყოფილა.

სანტოს

აი აკოსტა.

აკიბა

ღიად, ყოფილა! დაჯექით, ძმანო!
დაე ემბდენმა დასწეროს, თორემ
სიტყვები ცაში გაფრინდებიან...
ღიად, ყოფილა ბეგრჯელ,—მერწმუნეთ,
ღირსნო ძამანო! ეზიგურობა,
წასკოლნიგობა, სექტატობა—
ყოველივე ეს ახალგაზდაობას
ჭგონია ახლად შემოსულიყოს!—
ახლად კი არა,—ყოველივე ეს
კვლავაც ყოფილა, დამერწმუნეთ მე;
ჩვენს ტადმუდშია ასე სწერია...
ღიად, ყოფილა ყოველივე!

(შემოდის ურიელი, გაფითლებული და ქანც გაწვივტილი.)

საჩივარი.

დავუქე, ურთელ! ატერ იქა სდგას—
რახინებო, მე სომ არა ვდებო?
იქა სდგას სჯამი?... რა?... დავუქით!
იცი, ოთხმოც და ათის წლისა ვარ...
ამ წესანში გაცი მალე იღლება...
ხო, იღლება... დავუქე... (დაჯდება.)

სანტოსი.

სეოსტა,

თქვენ მოკლე ვადა ავირჩევით.

საჩივარი

მოიცა, სანტოსი! აწ ურთელთან
თვით ავიბასა სურს ისახებო...
დიაღ, ყოფილა ყოველი!.. სედავ,
ხემო სეოსტა, მუდამ ყოფილა
ორი გზა იქვის მექონ განთავის:
ერთი მოკლეა, მაგრამ მხელია;
მეორე თუმიცა მხელი არ არის,
მაგრამ შირველსედ ბევრით გძელია.

ურთელ.

მოკლე გზას ვირჩევ! თუ გინდ მომკალით,
ოდონც დროით კი! მომეცით ნება
ისე მოკვედე, რომ დრო არა მექონდეს
მოფიქრებისა!

საჩივარი.

სა უუურე!

რას ეჩქარებათ მაგ შენსა ფეხებს?
იგინი ჯერ ვერ დაისვენებენ
და გაგიწევენ ბევრჯელ სამსახურს!
ჩვენთვის კი არა, ურთელ, შენთვის
საჭირო არის მონანიება!

მაშ აგრე ძიელ რისათვის ჩქარობ?
ჩემის გულისთვის ნუ დაჩქარდები;
ღმერთი თუ განსავს შენ შენანბულს,
თორემ იქამდის მე ვერ გინცნსლებ.

ურიელ.

ათასჯერ სამ ან გაგიმეორებ
მას, რაშია ვარ დანაშაული
და რაც მრავალჯერ მითქვამს თქვენთვის?

აკიბა.

აწა, აწა! მე ვინი შენ ან გწამს
ტალმუდი, მარხვა და სინანული...
ასე ყოფილა მუდამ, ყოფილა...
ამისთვის გკითხავ უკანასკნელად:
აღვიარებ, რომ შენ შენის წიგნით
თავსედად დაჭმე უფალი?

ურიელ.

ღმერთი,

რომელიც მსოფლივ ებრკელების
ღმერთია, — იგი სშირად მიგმია
და ან მესმოდა — ეს განახენში
გიწერიათ თქვენ.

სანტოს.

ყოველგვარ ის,

რაც აღვიარე — სინტრუვე იყო;
ორ-აზროვნობა და სოფისმები!
და გვიმტვიცე ჩვენ იგი, რაცა გწამს
და რის მოწმუნედ გინდოდა თავი
გუჩვენებინა.

აკიბა.

და გვიმტვიცეო?

ეგ რა სთქვი, დე-სანტოს? დანამტვიცეო?

ავადმყოფს აგრე მოექცევიან!
 განა იქნება მის დამტკიცება,
 რატა გრწამს? რწმენით უგანტრავად გი,—
 და ზოგჯერ თვით ხართ ეპიკურები!
 დაამტკიცეო! ანა თვით სცადე!
 მზე—დამტკიცეს: იგი ბრწყინვალეს.
 ცენტლი დამტკიცდა: იგი სწვამს ხოლმე.
 გამოცხადება დამტკიცდა: იგი
 სწერია აღთქმის ისტორიაში.
 ანც ერთს ანა გთხოვთ თქვენ დამტკიცებას.

მეზღმენ (ურთელს).

ისე უბრალოდ გვითხარი, რა გრწამს.

ურიელ.

უკვე გითხარით და ესლაც გეტყით.
 მე მრწამს, რომ ღერთმა ამოიწვია
 ებრაელები სავარელ ერად,—
 იგი მხოლოდ მათ ეცხადებოდა,
 იმათ აძლევდა იდუმალს ნიშნებს,
 მხოლოდ მათთანა ჰქონდა კავშირი
 და იმათთანა ღანაწაკობდა,
 მათთვის დასწერა გამოცხადება,
 რომლის ყოველი სიტყვა და ასო
 გონებად ღვთისად უნდა მიგვანხედეს.
 მრწამს, რომ მე შევცდი ჩემის ჭკუითა,—
 და ნება არ მაქვს ისე განვმარტო
 სიტყვა უფლისა, როგორც მე მინდა.
 გვლავ გიმეორებთ, ყოველივე ეს
 მიწმენია მე სარწმუნოებით,
 მაღლობელი ვარ თქვენი იმისთვის,
 რომ ყოველივე დამტკიცებისგან
 მანთავისუფლებოთ.

(შემდეგი იქნება).

ბ. მკითხველო!

როგორც მოგეხსენებათ ჩვენში მიღებულია, ორი უცნობი პირი ღერ ერთ-ერთმანეთს გაიცნობენ (უპატრავად, კი არ გაიცნობენ, ჩამოართმევენ სელს და ეტყვიან: მე X—ი ვარო, მე V—ი) და მერმე დაიწყობენ ბაასს სხვა-და-სხვა საგნებზე. მეც, როგორც წვერი „ჩვენ“-ის საზოგადოებისა, გაწვდიდ სელს და გაცნობებთ ჩემს თავს... ვინ იცის, იქნება კიდევ ვიცნობდეთ ერთმანეთს, იქნებ წინადაც გვესაუბროს სადმე, მაგრამ რადგანაც ესლა აღარ გვხვდები იქ, სადაც გვხვდებოდი, რადგანაც „ჩვენ შორის ღანყი“ და „ბურუსი“ ჰსუფევს და არ გვაძლევს ნებას ერთმანეთის დანახვისას, ამისათვის მე მსურს (თქვენ გსურთ თუ არა, ეგ თქვენ უფრო კარგად იცით) ორიოდ სიტყვა ვსთქვა ჩემს ვინაობაზე და თუ მიცნობდით გენიშნებით, თუ არა და გამიცნობთ.

მე განლავართ ის, ვისაც ბევრი იცნობს და... ბევრი არა. მეძახიან მარტა დამე. ჩვეულებად მაქვს დაუკითხავად გამოვტყვერო იქ, სადაც არას მკითხავენ; თუმცა ამ ჩვეულებისათვის ყველასგან „დედნილ-ვარ“ მაგრამ რა გაეწყობა. გამიგონია „ჩვეულება რფულთ უმტკიცესიაო“, და მართალიც ყოფილა. რამდენს ვსტდილობ ისე ვილაპარაკო, ისე მოვიტყე, როგორც ჩემი „ბატონები“ მიბრძანებენ, მაგრამ რაქენა, არ შემოძლიან; წინაღვე უნდა შევჩვეოდი ბატონების თვალ-წარბში ყურებას და „ვარგი“, „პაციოსანი“ და „დაფასებული“ კაცი ვიქნებოდი... ეჰ!.. მაგრამ... რაც არის-იყოს, არ შეგვშვენის მნდალობა, მაშ... ვინც რა უნდა თქვას, ბუჭუნაჲ კი ფქვას.

იქნება, მკითხველო, იჭვი გქონდეს ჩემი სიტყვების სიმართლეში; იქნებ მითხრა, რომ ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა და ესლა თუ ვინმე ემორჩილება სხვას—ემორჩილება ან „ხაზინს“, ან „ბარისს“ და ან „ნაჩაღნიკს“ და არა „ბატონს“? მაგრამ აქ ცოცაოდენი რომ დაჭვიქრდე, გამამართლებ. ჩემის აზრით თუმცა ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ ღერ არ გადავარდნილა: ყმები, მონები ისევ არიან, თუ მონები არიან, ამათ პატრონიც უნდა ჰყვანდეს და, თუ ეს ასეა, მაშ რას დაუძახებ ამ პატრონებს, ამ მბრძანებლებს თუ არ „ბატონებს“? არა, თქვენ შეგიძლიანთ სხვა სახელი დაარქვათ, მე კი „ბატონს“ უწოდებ. მეც სხვა ნაირად მეგონა, მაგრამ უბატონოდ ესლა თურმე არავინ არის. „ბატონი“ და მბრძანებელი თვით იმასაც კი ჰყოლია ვინც ჰჭვიქრობს, რომ ის არის ბატონი, მბრძანებელი იმ ადგილისა რომელსაც ეკუთვინის.. რადგანაც ქვეყანაც ესლა ისეთი განდა, რომ ყოველი სიტყვა, თუ მაგალითებში არ ჩასვი, მარგალიტებშიაც რომ ჩასვა, მაინც არ დაიფერებენ, ამისათვის მოვიყვან მაგალითს, ამას კი გთხოვ, რომ ეს გამყლავნება ჩვენში დარჩეს, თორემ სომ იცი რაც მოხდება... ავიღოთ ბისმარკისგან გაცტაცებული თვით ჭ. თუმცა მე, ვიმეორებ, საქმე სულ სხვა-ნაირად მეგონა, მაგრამ თურმე ვცდებოდი: თვით ისიც კი, ისიც მონა ყოფი-

ლა. თუ გინდა დარწმუნდე, ჩუმათ ჰკითხე იმის მბძანებლებს: „НОВОСТ-ებს“, „Бирж. Вѣд.“—და სხვა ამათანა ბოზობლებს... კიდევ ბერს რამეს გეტყვოდი, მაგრამ ამაზე მეტს არას გეუბნები: ისეთი ერთგული მონა არის, რომ სულ იმათი სიტყვების გამეორებაში აღამებს და ათენებს; ისე მიუზიდავთ, ისე დაუმონავებიათ ამ ბატონებს მისი სული და გული, რომ თავის ანდომანლო იმასაც კი ვეღარ ჰხედავს, რასაც ვხედავთ ჩვენ“ უბრალო მომაკვდავნი.“ უკაცრავად... მე სულ სხვა საქმეზედ მინდოდა ღიპარაკი და სხვაყედ კი ვლაპარაკობ.

მე მინდა, როგორც რიგი და წესია დადებული ახალ გაცნობილთათვის, დავიწყო ღიპარაკი და სხვა ახალ ამბებზე, რომ არ დაველონდეთ, როგორმე გავატაროთ დრო. ჩვენში ახალი ამბები ბევრია. აი: კვირას ოცდა ორს თებერვალს ბ. აღნიაშვილის ქართულმა ხორომ, თავად აწინაურთა ბანკის თეატრში გამართა „სრულიად“ ახალი კონცერტი არჯისტი ბ. ი. ი. რატილიის ლოტბარობით, სიმღერაში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ზოგიერთმა სამღერალებმა საზოგადოება ისეთ აღტაცებაში მოიყვანა, რომ ქართული დრამ. დასის წარმოდგენებისაგან დაღონებულმა სკამებზეც კი იგრძნეს მაყურებლების აღტაცება და ერთმანერთს აწელებოდნენ. დიან, ბატონო, ეს ასე იყო და ასეც უნდა ყოფილიყო. ბ. აღნიაშვილი და არჯისტი ი. რატილი დიდი მადლობის ღირსნი არიან. ამათგან დაწყობილი საქმე საყურადღებოა და ვინც ამ საქმეს არა თანაუგრძნობს, ის ნუ დაიფრებ რომ ქართველი ჯოჯო, თუნდ რომ იმისი გვარი „ქე“—ზედაც ბოლოვებოდეს. მკითხველო, ამაზედ შენ დაფიქრდი და მე სანამ ორიოდე სიტყვას გეტყვი ჩვენი გაზეთების შესახებ. გაზ. „ცისკარმაც“ კი ორიოდე სიტყვა სთქვა ამ კონცერტზე და ამ ორი სიტყვიდამ გაგიგებთ, რომ წსენებული ხორო თანდათან წარმაცებაში მიდის. „ივერიას“ მე 40 №-ში აქვს ნათქვამი: „გუშინ-წინ, 22 თებერვალს, ქართულს თეატრში გამართული იყო ბ-ნ. აღნიაშვილის ხოროს კონცერტი. სამწუხაროდ, ამ კონცერტს ნაკლებად დაესწრო საზოგადოება.“ ეს „მოვლენაც“ გვარწმუნებს, რომ თუმცა აღნიაშვილი არ არის არც დიდი ჩინის პატრონი, არც დიდი თავადიშვილი, მაგრამ იმისგან დაწყობილი საქმე კი საყურადღებოა. ხუმრობა გაშვებით და ეს საქმე საყურადღებო რომ არ ყოფილიყო, განა „ივერიის“ რედაქტორა შეამოკლებდა იმ წერილს, რომელიც იწყობა ასე: „როცა ბისმარკმა შეიტანა რეინსტრუქტი თავისი სამხედრო განონ-პროექტი და“ — და სხვა. და ვიღაც აღნიაშვილისგან გამართულ კონცერტს დაუთმობდა ოთხ სტრიქონ ნახევარს? არა მგონია!

აი კიდევ ახალი ამბავი. „ივერიამ“ მიმართულება გამოიცვალა: რისთვისაც წინად გვლანძღავდა, იმისათვის ვნლა გვაქებს. „თეატრს“ წინად ღლანძღავდა, ეუბნებოდა: დაუდგარი ხარ, სულ კრიჭაში გვიდგეგხარ, სულ ჩვენზე ღიპარაკობი; ენლა კი ჰკიცხავს, რატომ ჩემსავით არ იღიანძღები;

მე რომ „ცისკარს“ ვლიანძლავ, მსურს იმისი გადაყლაპვა, რაღომ მხარს არ მამძლევეო. აი ბ. ივერიის ყ„ორ-ანი“ რას ამბობს № 33-ში, „თეატრი“ არც მტერს ანლებს ხელს და არც მოყვარეს.“...

ეხლა გი ნახვამდის, კიდევ შეგზვდები, ჩემო მკითხველო, და თითო ახალ ამბავს გიამბობ

გიგაურიანთ უბნელი.

სატრფოს.

სატრფოვ, შენთვის დაფიბადე
და გაფიცან შენი სახე;
გიცან, გიცან, ჩემო კარგო,
შენ დამიგე ფეს ქვემ მახე.

იგრძნე, ვეგდები, სატრფოვ, შენთვის,
თან მიმეყვება შენი სახე,
მსედავ, ვეგდები შენს ალერსში,
გთსოვ, საფულავში ჩამომმასე:

„სატრფოსათვის დატანჯულო,
მავს მიწაში დაიძარხე,
თან წაიღე, სახსოვრება,
რაც რომ ჩემთვის ივაგლასე.“

ი. დ.

გიორგი და მანასა.
გიორგი

მინას ჰეტრუხინ, მიბძანეთ
ფული კიდევ გაქვთ ფუთშია:
ვინ შეგეკერათ ეგ ზალტო?
ან რა უბოძეთ ქუდშია?

მინასა

შენთან ნაქონი ფულები
სელ უსლები ჭსძევეს უუთძია,
ჰალტოს და ქუდის გაძეიდველს
არ უჩივლიათ სუდძია.

გიორგი

ვინც მოგთხოვს ნამუშავეარსა
შენ მას გაიწვევ სუდძია.

1881. წელს
ქ. თბილისი.

კორამსკონდონია

თელავიდაჲმ გეწერენ: ამ თვის ცხრას წერა კითხვის-გამაგრე-
ლებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იყო ბალი
კნეინა ჩოლაყაშვილის თაოსნიობით თელავის კლუბის დარ-
ბასში. ამ ბალზე არ დაესწრო იმოდენა საზოგადოება, რამოდენ-
ისისც იმედი გეჭონდა. საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი საზოგადო-
ების გულ-გრილობა... სად განჭქრა ძველი ქართული გულ-უს-
ვობა და კეთილ საქმის მოყვარულობა!

ამ ბედნიერ დღეებში წარმოდგენის გამართვას აზიარებდნენ
აქაური სტენის მოყვარენი, მაგრამ, არ ვიცით რა მიზეზით, ვეღარ
მოასწრეს.

ი. დავითაძე

წ გ რ ი ლ მ ა ნ ი .

ახალი ავბაზი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ბ. აღნიაშვილის „უბის ლექსიკონი“. წიგნი გამოვა, როგორც შევიტეეთ, მშენიერის უღით და ჯიბით სატარებელი იქმნება. ამ ჰაწაწა ლექსიკონში ასხნილი იქმნება ქართულად თითქმის ეოველივე ის სიტყვები, რომლებიც ჩვენში უცხო ენებიდან შემოჰარულა.

* * *

კვირას, 22 თებერვალს, „კრუჟოკში“ ზირველი გიმნაზიის ღარბ მონწაველეთა სასარგებლოდ, რომელთაც მომავალს მანში უნდა შეასრულონ კურსი, გამართული იყო კონცერტი. ფართო დარბაზი „კრუჟოკის“ თეატრისა ვერ იტევდა სასოგადოებას. ახალ-თაობის აღტაცებას სამსღვარი არა ჰქონდა.

(საზულისხმო.)

ერთმა ძალიან მდიდარმა შორტულაღელმა, სასკლად „მენარო“-მ შეირთო გრაფი ნ...-ს ძლიერ ღამაზი ქალი. ეს ქალი იყო ღარბი. ამ ქალს თავისი შთამომავლობა ნუბას ამღეკდა კოროლის სასახლეში სიარულისას და ერთსულ მიიწეკეს კოროლისგან გამართულს ბაღში. ბ. „მენარო“ ბეკრი ესკეწა თავის „სიცოცხლის კელანტარს“ ნუ წასვალ იმისთანა ბაღში, სადაც მე ჩემი შთამომავლობა მიშლის სიარულსაო, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ღამაზმა გრაფის ქალმა, ახლად გამდიდრებულმა, ვერ მოისკენა და წავიდა. ბაღში, რასაკვირველია, ბეკრი ემაწვილი კაცი მოიყვანა

აღტარებაში, მოიქანცა ტლინკვით და ბალის გათავების შემდეგ წამოშანდა შინ. სასლის კარი დაკეტილი დაჭხუდა, ბევრი არასუნა, ბევრი რეკა ზარი, მაგრამ კარი არავინ გაუღო. შემდეგ მიჭმართა თავის მეზობელს, რომ ამისაგან მაინც იქნება გაკეცო მიზეზი კარის გაუღებლობისა და გაიგო კიდეც. მეზობელმა გადასცა ბ. მენაროს წერილი, რომელშიაც ქმარი სწერდა თავის ცოლს შემდეგ: „მოწყალეო სელმწიფავ! ჩემი შთამომავლობა მიშლის კოროლის სასახლეში სიარულს, მაგრამ ჩემი ოჯახის უფროსი კი მე ვარ და ჩემს სასახლეში თქვენ არ შემოვიშვებთ. გინიმნავთ წელიწადში ოცი ათასს ფრანკს და გეთხოვებით საუკუნოდ“. მეორე დღეს მთელმა ღისსაბონმა შეიტყო, რომ იმ ქალმა, რომელსაც თავისი სიღამაზით და ძვირფასი მორთულობით აღტარებაში მოჭყვანდა კოროლის სტუმრები, დაკარგა ის, რისთვისაც მისთვის გადა ბ. „მენარო“-ს—რამდენიმე მილიონი.

ტელეფონი და ინდიელები. ამერიკის გასეთები მოკვით-სრობენ შესანიშნავ ამაჰს. როდესაც ინდიელების წინამძღოლნი მიდიოდნენ მისსურაში სან-ლუის ქალაქზე გაიარეს. აქ სსკათა შორის უნდოდათ გაეცნოთ ტელეფონი და მისი მნიშვნელობა. ამაზრატს მიაღეს ყური და გაიგონეს თუ არა სმა, რომელიც ამა-რატადამ გამოდიოდა, ძალიან შეკრთნენ. მერე დაიწვეს ჩურჩული, შემდეგ გაესვივნენ თავიანთ წამოსასხამებში, დასდნენ და მიეცნენ ღრმა ფიქრს. რამოდენიმე ხნის შემდეგ დაიწვეს ლაზარაკი და გადასწვიტეს, რომ მათ ელაზარაკება სული «თეთრებისა». როდესაც ეთხოვებოდნენ სთხოვეს ეჩუქებინათ ეს ამაზრატი, რომ ამა-თაც და ამათ შეილებსაც შესძლებოდათ ლაზარაკი თავიანთ გარდაცვალებულების სულუბთან.

გასაფრებულზე ერთმა კეთილ-შობილის ქალმა მიაზარა თავისი ქურჭი ტანისამოსების შემნახველს. როდესაც დაზამთრდა, მივიდა ქურჭითან, გამოართო მიზარებული ქურჭი, ჩაიტო და წამოკიდა შინ.

ქუნაში რომ მოდიოდა მიმოძსვლელნი უყურებდნენ და იცინოდნენ. ქალი შინ რომ მოვიდა მასშინ გაიგო მიზეზი გამკლელ-გამომკლელით სიცილისა: თურმე არ აეგლიჯა ზურგზე დაკერებული ქაღალდი ამ ქაღალდზედ ეწერა: ქ. ს...ვისა. ძველი, გახეხილი, დაფატსაკეული შელა.“

ერთხელ გურული საქმეზე წამოვიდა თფილისში. როცა ქალაქში შემოვიდა დაინახა ერთი დუქანი კუბოებით სავსე, შეკრთა ძალიან, არ დაუსვენია და ჩამოვიდა გურიაში.

— რა ქენი? ჭკითსეს სახლში. გავრიგე საქმე, რისთვისაც წახვედი?

— ვაი და, გავრიგე კი არა, ქალაქში ჭირი გახენილა; ერთი სახლი სულ კუბოებით სავსე იყო! შემეშინდა, საქმეს თავი არ მიწიქენიათქო, ვსთქვი და ქე გახსელით აქით, მიუგო გურულმა.

განცხადება.

„თეატრი —“ სრედაქცია გადადის ასალი რედაქტორ-გამომცემლის სელში. ასალი რედაქტორი ვცდება ჰატოსნად შეასრულოს თავისი მოვალეობა და უნაკლებოდ მისცემს ბ.ბ. სელის მომწერლებს იმას, რაც უკვე აღუთქვა მათ ამ რედაქციამ თავისი პროგრამით.

რედაქცია საჭიროდ ჰხედავს ამოაჭრევენოს სურათები ზეტერბურგში და სამძღვარ გარეთ — ლეიფციგში და უკვე შეუდგა ამ საქმეს.



რომ შემდეგი ეველა ნომერი თავის დროსე გა-
მოვიდეს საჭიროა წინაღვე შემუშავება დასაბუჟდი მა-
სალისა და გაცნობა რედაქციის საანგარიშო და სხვა
წიგნებისა; ამისათვის შემდეგი №-ი გამოვა ორი კვი-
რის შემდეგ და დაკლებული №№-ი შემდეგ №№-ს
მიემატება.

რადგანაც ხელის მოწერა შეიძლება მარტო ნახე-
ვარი და ერთი წლით, ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ
გამოვაცხადოთ, რომ ამ გაზეთის ზირველი და მე-
ორე №№-ის ეგზემპლიარები ცოტალა დარჩა და
ვინც წინაღვე დაიკვეთავენ გაზეთს, იმათ მიეცემათ ეს
ეგზემპლიარები. ამ შემთხვევაში უპირატესობა წლიურ
ხელის მომწერთ მიეცემათ.

რედაქციას თავისი თანამშრომლობა აღუთქვეს ქარ-
თულ მწერლობაში სასეელ დამსასურებულთ ზირთ. ვინაც
ხელის მოწერის ზირობა ჯერ არ შეუსრულებია და
№ 9 გამოსვლამდის არ შესრულებს, იმას დაეკარგე-
ბა № 9 თავისი სურათით.

რედაქცია მეორედ უცხადებს, რომ ოდესის სემი-
ნარიაში ბ. მაღრაძის სახელზე იკსაფნება ჩვენი გა-
ზეთი.

თ ე ა ტ რ ი ს ე ჲ ს ტ ა .

ცელ... არ დაბეჭდავთ.

ი. დ. გადმოგვცეს... ეხლანდელიდგან იმის მეტი არ დაიბეჭდება, რა-
საც ვბეჭდავთ... საგაზეთო წერილების პირობები თქვენ კარგად იცით.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე